№ 36 თებერვლის 16, შაბათი. 1866—1885 თებერვლის 16, შაბათი. № 36

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. [illegible] გვერდი 25 მანათი; პირველი 50 [illegible] მისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაუმოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

კვირას, თებერვლის 17 საღამოს რვა საათზე თბილისის «სობრანიის» ზალაში იქნება გამართული

კონცერტი

სასარგებლოდ რეალურ გიმნაზიის ღარიბ შეგირდთა, რომელნიც წელს ათავებენ კურსს. (3—2)

უმორჩილესად ვსთხოვ თავად-აზნაურობას თბილისის გუბერნიისასა, მობრძანდენ დღეს თებერვლის 17-ს 11 საათზედ დილით განსაკუთრებულს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზედ, იმ საგნის განსახილველად: თუ რა გვარად უნდა ვიდღესასწაულოთ **ასის წლის შესრულება იმ დროიდამ, რა დღესაც იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ უბოძა გრამოტა** რუსეთის თავად-აზნაურობასა.

გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება შესდგება ჩემს სადგურში, მიხეილოვის ქუჩაზედ, ზარაფოვისეულ სახლებში.

თბილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი გენერალ-მაიორი თ-დი დავით სუმბათოვი

Librairie Chaverdoff
GRAND SUCCÈS!
LA PEAU DE LÉOPARD
d'après
CHOTA ROUSTHAVÉLI
par
Achas Borin. (10—2)

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, თებერვლის 16-ს

ქვეყნის იმ კუთხეში, რომელიც მეცნიერებს კაცობრიობის აკვნად მიაჩნიათ და სადაც, პოლიტიკოსების აზრით, ახლო მომავალში უნდა მოხდეს შეცილება ორს უძლიერესს სახელმწიფოთა შორის, — ავგანისტანის მიდამოში მცირე ნაპერწკალი გამოჩნდა. ეს ნაპერწკალი ზოგთ, სიშორის გამო, თვალის მოტყუება ჰგონიათ, მაგრამ ზოგნი კი დიდის ცეცხლის დასაწყისად ჰხადიან.

სამს თვეზე მეტია რაც ავგანისტანის სამზღვრებზე დაბანაკებულია ინგლისის მოსამზღვრე კომისია, სერ პეტერ ლემსდენის მეთაურობით; იგი ელის მეორე კომისიას, რუსეთიდამ გაგზავნილს, რათა ორთავ ერთად დასდონ სამზღვარი რუსეთის სამფლობელოისა. ინგლისის კომისია თუმცა, დიდი ხანია რაც ამ უდაბნოებში დაბანაკებულია, მაგრამ ცდა თურმე ამაოდ უვლის და მოპირდაპირე არა ჩქარობს მისკენ გამგზავრებას. ამ დროს გაზეთებში უეცრივ ხმა ვრცელდება, რომ რუსეთმა ჰერათისაკენ ჯარი გაგზავნაო, ესე იგი, იმ ჰერათისაკენ, რომელიც ინდოეთის კარად ითვლება.

ეს მოულოდნელი ამბავი, რასაკვირველია, ინგლისის ჟურნალ-გაზეთობას დიდს ალიაქოთს შეუყენებდა. თუმცა რუსეთის ელჩმა ინგლისის მთავრობის წინაშე უარ-ჰყო იგი, მაგრამ ინგლისის მთავრობა არ ერწმუნება ამ უარყოფას და თვით ინდოეთის საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ქროსმა ინგლისის პარლამენტში გამოაცხადა, რუსეთის ჯარი წინ იწევს ავგანისაკენაო.

ეს ამბავი, ბევრს უფრო იმიტომა სჯერა, რომ ინგლისს ეხლა სუდანში დიდი გაჭირება ადგია და მოპირდაპირეს მარჯვე შემთხვევა ეძლევა ისარგებლოს მისის გაჭირებით და მისს პოლიტიკაზე იერიში მიიტანოს. მართლაც, ინგლისის სამინისტროს მეტად შავი დღეები დაუდგა: მარტო ოთხიხუთი სამხედრო კაცი დაჰკარგა მან ამ ომში იმისთანა, რომელთა სიკვდილი თითო-თითო ძლიერ დამარცხებად ღირდა. გორდონ-ფაშამ, გენერალმა ერლმა, ორივ სტიუარტმა და მრავალთა სხვათა სამარე სუდანის ცხელ ქვიშაში გაითხარეს. მერე ზაფხული ახლოვდება და ინგლისს ის საშუალებაც ესპობა, რომ საჩქაროდ გადაუხადოს თავის მოპირდაპირეს სამაგიერო ესეთის დამცირებისათვის. ზაფხულში უიმისოდაც მხურვალე ჰავას სუდანისას ვერას გზით ვერ აიტანს ინგლისის ჯარი და ამიტომ იძულებული შეიქნება თავის მოქმედება საშემოდგომოდ გადასდოს.

* *

თუმცა ძნელს ყოფაშია ინგლისის სამინისტრო, მაგრამ უფლების ხელში ჰქერა ისე ტკბილი ყოფილა, რომ გლადსტონს არ უნდა ხელიდამ გაუშვას იგი და ყოველ დღიურ საყვედურს ამჯობინებს, როგორც პარლამენტისა, ისე ჟურნალ-გაზეთებისას, ინგლისის გამგებლობისათვის თავის დანებებას. იგი აცხადებს პარლამენტში, რომ ჰერათი სრულიად საშიშარ მდგომარეობაში არ არის, რადგან შიგ ძლიერი მეციხოვნე ჯარი აყენიაო და ამით ნუგეშს აძლევს მეტის-მეტად შეხვიქრიანებულ ინგლისელებს; ცალკე იტალიას აქეზებს იგი მეწამულ ზღვის პირებზედ მკვიდრად ფეხის მოკიდებისათვის. და მართლაც, გორდონის სიკვდილითა და ხართუმის აღებით არ შემდრკალა იტალიის მმართებლობა, არ შეშინებია ამ გვარი სახიფათო მეზობლობისა და უწინდებულად ხელში უჭერია მისგან დაპყრობილი ნავთსადგურები მეწამული ზღვის ნაპირას. მხოლოდ როგორც გამოცდილ პოლიტიკოსებს შეეფერებათ, მოუნდომია მეზობლად მდებარე აბისინიის გულის მოგება და იტალიის ხელმწიფეს ჰუმბერტს ელჩიც გაუგზავნია მეფე იოანესთან და თან შესაფერი ძღვენი გაუყოლებია.

* *

როდესაც ინგლისი ამისთანა გაჭირებაშია, იმის მეზობელს საფრანგეთს თითქო უკეთესი დარი უდგება. ფრანცუზების ჯარმა იმოდენა მანძილი გაიარა ტონკინში ჩრდილოეთისაკენ, რომ ჩინეთის სამზღვარს მიუახლოვედა და მალე, ამ სამზღვრის გადასვლასაც აპირობს და კანტონისკენ წასვლასაც. ამავე დროს ფრანცუზების ფლოტი უახლოვდება ამ შესანიშნავ ქალაქს ჩინელებისას და თუ ორთავ ლაშქარ-

«დროების» ფელეტონი, თებერ. 16-ს

### „გაზაფხული“

(მოთხრობა ჟანნი მერესი).

ეს არ იყო იმის ნამდვილი სახელი; იმას ერქვა ლიუსი მორანი. ის იყო ტანად მდაბალი, ნარნარი ქალი. იმის ხელები ბუნების მანქანებად ჩაითვლებოდა. როდესაც ის ადიოდა ლუვრში, თავის მაღალ კიბეზედ, განთქმული მხატვრების სურათების გადასახატავად და გამოუჩნდებოდა ნამცეცა ფეხები, იმათი სიპატარავე სიცილს მოგგვრიდათ. ლიუსი ყოველთვის იცვამდა სუფთად შავს ტანისამოსს, ხმარობდა ინგლისურს შლიაპას, რომელიც სახეს უჩრდილებდა. ოქროსა ფერი თმა წითლად დასცემდა, მშვიდი ლურჯი თვალები ჰქონდა და ისეთი კანის ფერი, როგორც ტემზის სანაპიროს ქალებსა აქვთ, სპეტაკი და ლურჯის ძარღვებით დასერილი; მხატვრებს გარდარევს ხოლმე ამ გვარი პირისკანი და დააფიქრებს მკურნალებს. იგი ყოველთვის მხიარული, ალერსიანი, კეთილი და მოღიმარი იყო; თავის სიყმაწვილის და ნარნარობის წყალობით იმას დაარქვეს მეტი სახელი ,,გაზაფხული''.

ლიუსი ხალისიანად გიამბობდათ თავის ცხოვრების ამბავს — ამბავს, რომელიც არ იყო ეპიზოდებით მდიდარი.

მისი დედა ინგლისელი ქალი იყო; მამა ფრანცუზი განდევნილი (ორს დეკემბერს), პარიჟში ჟურნალისტად ნამყოფი და ლონდონში პროფესორად გამხდარი. თავის შეგირდების რიცხვში, ვიდაც სერპეტერა როკის ქალებიც ჰყავდა; ერთმა იმათგანმა შეიყვარა იგი. შემდეგ მოიტაცა და შეირთო.

სერპეტერმა დაიფიცა თავის დღეში არ მიუტევოს თავის ქალს დანაშაული და ამის გამო ახლად შეყრილნი ცოლქმარნი თითქმის სიმშილით იხოცებოდენ. რამდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ, ფრანცუზული ენის პროფესორის ცოლმა ველარ შეუძლო და მოკვდა, თუ სიმშილით არა, ბევრი ნაკლებულების გამო მაინცა. იმას დარჩა ქალი, პაწია ლიუსი.

ჯერ თხუთმეტის წლისა არც კი იყო ლიუსი, რომ მამას ყველაფერში ხელს ატანდა, რადგან გაკვეთილებს ის ველარ შოულობდა. ლიუსის საკმაო ნიჭი ჰქონდა მხატვრობისა და თავის მოყვარეც იყო, იგი ოცნებობდა ოდესმე გამხდარიყო ,,სახელოვანი მხატვარი''. მხატვრობის გაკვეთილებიც იშოვნა და თითქმის თავის მამას ის აჭმევდა პურსა.

მამაც მალე მოუკვდა და ლიუსიმ განიძრახა თავის დიდი ხნის აზრის შესრულება — პარიჟში სასწავლებლად წასვლა. სამყოფი ფულის შესაკრეფავად საჭირო იყო იმისთვის მუშაობა და მხურვალედ შეუდგა შრომას. ამასთანავე ლონდონის ნისლიანი ჰაერი ცოტა არ იყო სწყენდა იმის გულს.

გასაოცარ სახილველს წარმოგიდგენდათ ეს ყმაწვილი ქალი: ერთი უპატრონო, ღარიბი, უნუგეშო მომავალით, მაგრამ ყოველთვის ბედნიერი და მოღიმარი ღრუბლიდან გამომკვირვალს მზის შუქს მოგაგონებდათ.

ყოველი მხატვარი იცნობდა მას და ყველანი ალერსიანად ეუბნებოდენ, შეხვედრის დროს: ,,გამარჯვება გაზაფხულო''!

მაგრამ ყოველთვის ასე არ არის ხოლმე. ხელოვნების სკოლა დედაკაცების პატივის-ცემის სკოლას არ იცავს. როდესაც ეს ყმაწვილი უცხო ქვეყნის ქალი პირველად დასახლდა Notre Dame de Champs-ის ქუჩაზედ, ყმაწვილი მხატვრებით სავსე სახლში, ყმაწვილები ანიშნებდენ ხოლმე ერთმანეთს იმაზედ, როგორც გემრიელ ლუკმაზედ. მაგრამ რადგან ის ყოველთვის საქმეში იყო გართული, ზრდილობიანად აძლევდა პასუხს კითხვაზედ, არ დაეძებდა მცნობებს და არცარავის თავისთან იღებდა, ყველანი დარწმუნდენ, რომ ის პატიოსანი ქალია და შრომით თავის ლუკმას შოულობს.

ერთს საღამოს, ამხანაგებთან ლხინის დროს, ახლად დაქორწინებულს ლიუსის პირდაპირ ოთახში, ყმაწვილმა

მა ერთბაშად მოქმედება შეიძლეს, ერთმა ხმელეთით და მეორემ ზღვით, იქნება მაშინ მაინც ფრანცუზებმა დასტოვონ კვალი თავიანთ ნამოქმედარისა, ჩინეთს მშვიდობის ჩამოგდება ათხოვნინონ და მოსპონ უსარგებლო და უმნიშვნელო სისხლის ღვრა.

* * *

ხოლერის ეპიდემიის მოლოდინში ევროპა სხვა ეპიდემიამ აიტანა—ეპიდემიამ ბაჟის დადებისამ. გერმანიის მაგალითისამებრ გარედამ შესაზიდს ხორბალს ბაჟს ადებს აგრეთვე საფრანგეთი და ვენგრიაც ამასვე აპირობს. საუკეთესო ეკონომისტები იმ აზრისანი არიან, რომ ასე ხელოვნურად პურის გაძვირებას მდაბალი ხალხის უარესი გაჭირება მოჰყვება და მოგებით კი ორიოდე დიდი მემამულე თუ მოიგებსო; რადგან პურს მხოლოდ დიდნი მემამულენი ჰყიდიან, წვრილთა თავიანთგან მოყვანილი თითონვე უნდებათ და უმამულო ხალხისათვის კი ბაჟის დადებას პურის გაძვირება მოჰყვება, ესე იგი იმისთანა საგნისა, რომელიც საზრდოების უმთავრესს წყაროს შეადგენსო.

საუკეთესო ეკონომისტები ამას ამბობენ და ვნახოთ ცხოვრება რას იტყვის.

## შინაური ქრონიკა

═ ქალაქის ერთი სასტუმროის მოსამსახურეთაგანი შემოგვჩივის, რომ სასტუმროთა პატრონები ერთობ შეუბრალებლად და უწყალოდ გვეპყრობიანო. მაგალითად, დეკემბერში ჩვენმა ბატონმა გამოგვიცხადა: ვისაც არ უნდა, რომ ადგილიდან დავითხოვო, საყინულე სარდაფში ჩავიდეს და ყინულები ამტვრიოს ზაფხულისათვის შესანახავადო. ჩვენც უნებურად უნდა აგვესრულებინა ეს უსამართლო იძულება, რის გამოც ერთი ჩვენთაგანი დამბლა დაეცა, მეორეს თიაქარი შეეყარა და რამდენიმეს გაციევაო.

═ მართალი არ გამოდგა ის ამბავი, რომელიც გუშინ წინ ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ შესახებ მეორის ხიდზედ ქირის აღების წესის გამოკიდებისა. ეს წესი სამივ ენაზედ არის დაბეჭდილი: ჯერ რუსულს, მერე სომხურს და ბოლოს ქართულზე. შეცდომა იმიტომ მოსვლოდათ ამ ამბის გადმომცემთ, რომ ცალი მხარე ქაღალდისა ამოკვეცილია და ქართული განცხადება სრულიად არა სჩანს. ვწუხვართ, რომ ესეთი შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი გაკვირვება არ გამოვაცხადოთ, რომ თუ უეჭველად ამოკვეცა იყო საჭირო, რაღა ქართული ზედ წარწერა ამოიკვეცა!!

═ დ. ონიდან გაზ. „კავკაზს“ სწერენ: ადგილობრივი საზოგადოება ცდილობსო მთავრობის წინაშე, რომ სოფ. ბუღეულის იარმუკა, რომელიც მუდამ წელს იმართება ენკენისთვის 1-დან 10-მდე, დ. ონში იქმნას გადმოტანილიო.

═ იმავე გაზეთს იქიდანვე სწერენ, რომ ადგილობრივი გაწვრთ გილდი ომთამე აპირობს იქიდან ტყიბულის რკინისგზის მტომდის საფოსტო კარეტების გამართვას მოგზაურთა და ფოსტისათვისო. ომაძე სუბსიდიას თხოულობს თურმე ამ საქმისათვის და პირობასა სდებს, რომ თუ ვინიცობაა მისი თხოვნა შესრულებული იქმნა, მოგზაურთათვის ადგილების ფასს კარეტებში იაფს დანიშნავს.

═ იმავე გაზეთს ქუთაისიდან სწერენ, რომ სამსახურიდან გადამდგარი ინჟენერი ბ. სლუგოცკი ცდილობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ მისცენ მას უფლება ფოსტის სტანციების გამგეობისა სამხედრო-ოსეთის გზაზე ქუთაისიდან დ. ონამდე და თუ შეიძლება თვით კავკასამდეც. ამ თხოვნასთან ერთად ბ. სლუგოცკი თხოულობს, რომ ა) გააფართოვონ სამხედრო ოსეთის გზა, და ბ) ჩამოართვან იგი საინჟენერო უწყებას და ჩააბარონ ერობას, რომელმაც უნდა იზრუნოს ზამთრობით ამ გზის თოვლის ზვავებისაგან გაწმენდისათვის. ამასთანავე ბ. სლუგოცკი თხოულობს დიდ-ძალს სუბსიდიასაცო.

═ „რუსეთის სახალხო ჯან-მრთელობის დამცველ“ საზოგადოების სხდომაზე, თებერვლის 6-ს დასწრებია აბას-თუმნის პაციენტებისათვის კარგად ნაცნობი ბ-ნი რემერტი, რომელსაც წაუკითხავს ცნობა კავკასიის მინერალურ წყლებზე საზოგადოდ და აბას-თუმნისაზე კერძოდ. დამსწრე საზოგადოებას ერთხმად მადლობა გამოუცხადებია ბ. რემერტისათვის, რომ მან ასეთი საინტერესო ცნობები მოასმენინა მათ აბას-თუმნის ჰავასა და ბალნეოლოგიაზე. საზოგადოების თავს-მჯდომარის აზრით აბას-თუმანს ბალნეოლოგიის მხრით ვერ შეედრება არამცთუ რუსეთისა, არამედ სამზღვარ-გარეთის ბალნეოლოგიის სადგურების უმრავლესობაცა („ნოვოსტი“).

═ გაზეთებში იწერებოდნენ, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელს ნობელის ამხანაგობას განზრახვა აქვს მდაბალის ხარისხის და ფასის კეროსინი მოამზადოსო. ეს ხმა ახლა მტკიცდება თვით ამხანაგობის განცხადებისაგან, რომელიც ერთს რუსულს გაზეთშია დაბეჭდილი.

═ თებერვლის თოთხმეტს თბ. ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში გარჩეულ იქმნა საინტერესო საქმე დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკის მიხელსონისა და პოდპოლკოვნიკ-პროკოპოვიჩისა. პირველს უსესხნია მეორისაგან 2,750 და გირაოდ მიუცია თავისი უძრავი ქონება. სარგებელი (თვეში 2 მ. ი. 24 წელიწადში) წინ-და-წინვე აუღია გამსესხებელს. გირაოს გარდა მიხელსონს მიუცია ჯარიმის ქაღალდი, რომლის ძალითაც, თუ ვინიცობაა ვალის გადახდას დააგვიანებდა, უნდა ეძლია ჯარიმად პროკოპოვიჩისათვის ხუთ-ხუთი თუმანი ყოველ ვადაზე გადაცილებულ დღეში. მიხელსონმა ვალი ვადაზედ ვერ გადაიხადა. პროკოპოვიჩმა იჩივლა, წარადგინა გირავნობის ქაღალდი, მიიღო სასამართლოსაგან აღსასრულებელი ფურცელი (ისპოლნიტელნი ლისტი), თუმცა დაგირავებული ქონება დღესაც გაუყიდველია. გირავნობასთან ერთად პროკოპოვიჩმა წარადგინა სასამართლოში ჯარიმის ქაღალდი და სასამართლომ გადაუწყვიტა 4,000-მდე მანათი, რომელიც სასამართლოს ხარჯითურთ გადაახდევინა კიდეც მიხელსონს. ამ რიგად ორიათას-შვიდას-ორმოცდაათს მანათში (2,750) პროკოპოვიჩმა გარდა 24% წლიური პროცენტისა გადაახდევინა მიხელსონს 4,000 (ოთხი ათასი) მანათი და თავნი ვალი ამ უკანასკნელს მაინც მთლად დარჩა გადაუხდელი! წინად გარდაწყვეტილი ჯარიმა აღრიცხული იყო 1883 წლის 31 მაისამდე. ახლა ბ. პროკოპოვიჩს კიდევ საჩივარი შეუტანია მიხელსონზე და იმავ ჯარიმის ქაღალდის ძალით თხოულობს, რომ კვლავაც გადახდეს მისს მოვალეს შარშანდელ მაისის 31-დან მეორედ საჩივრის შეტანის დღემდე, ე. ი. წლევანდელ იანვრის 16-მდე — 11,500 (თერთმეტ-ათას-ხუთასი) მანათი! („ნოვ. ობოზ.“).

---

კაცებმა, ფუნჯით შექეიფიანებულებმა, მოიფიქრეს მეზობელი ქალის თავიანთთან მიწვევა. ეს ჩაად ამოირჩიეს მაღალი, ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი, თავის ამხანაგთ შორის დონ-ჟუანად წოდებული. იმან გასწია ლიუსის კარებისაკენ ღორტმანით და თვალებზე ჰუტვით.

ლიუსიმ გულ-წრფელად გაუღო მას კარები. ჩვენი დონ-ჟუანი სწრაფად შევიდა და შესვლის უმალ მიკეტა კარები და დადგა ლიუსის წინ.

— რას ჩადიხართ?—ჰკითხა ლიუსიმ: მე ჩემ სახლში ვარ. თქვენ რა გნებავთ აქა?

ის არა ჰგავდა შეშინებულს; მხოლოდ სპეტაკ სახეზედ სიწითლე აჩნდა.

ყმაწვილი კაცი, ცოტაოდნად გამოფხიზლებული, განცვიფრებით სინჯამდა ღარიბულ ოთახს, საწყლად მორთულს; სტოლზე დაწყობილ მხატრობას აბაჟურიანი ლამპა ანათებდა და ოთახს წყვდიადს ჰფენდა.

— მე რაც მინდა ჩემო „გაზაფხულო“—ეხლავე მოგახსენებ: ჩვენ ვიფიქრეთ, რომ თქვენ აქ მარტოობით მოწყენილი იქნებით და ჩვენთან გასართობად გპატიჟობთ; ეს ხომ შესაძლებელია ამხანაგთ შორის?

ყმაწვილმა წადგა ნაბიჯი. ლიუსი სწრაფად უკუ დგა.

— იცით თქვენა, მოწყალეო ხელმწიფევ—უპასუხა მან დამშვიდებულის ხმით, რომ ძალიან ცუდად იქცევით; მე დედა-კაცი ვარ და უპატრონო, ვშრომობ ლუკმისათვის, მოსვენებასა და ღირსეულ პატივის ცემის მეტს არას ვთხოულობ არავისაგან.

და ფანჯარასთან მისულმა, მან დაუმატა.

მე შემეძლო მოსაშველებლად დამეძახნა ვისთვისმე, მაგრამ ვამჯობინე მხოლოდ გთხოვოთ აქედან გასვლა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კიდეც გრცხვენიათ თქვენის საქციელისა.

ყმაწვილმა კაცმა მორცხობით გარდახედა მას და ცოტად გაწითლებულმა უთხრა:

— თქვენ მართალი ხართ, ბატონო, ბოდიშს ვითხოვ. არ ინებებთ ნიშნად შერიგებისა ხელი მიბოძოთ. მმადლობთ ზდილობიანად მოქცევისათვის; გეფიცებით, თუ დაგჭირდათ სადმე ძალოვანი მკლავი, შეგიძლიანთ მე მომკითხოთ... და თუ ვინმე გაბედავს ასე საზიზღრად მოგექცეთ როგორც მე... მაშინ... მიფთხილდეს!

და მოწიწებით თავის დაკვრით გავიდა ოთახიდან ყმაწვილი კაცი და გულ წრფელად უამბო ამხანაგებს, რაც გადახდა.

ამ დღიდან ყველამ გარდასწყვიტეს, რომ „გაზაფხული“ პატიოსანი ქალი არისო.

## II

რამდენიმე ხნის შემდეგ, ყმაწვილი კაცი, რომელმაც სახლში ახლად გარდასვლა იდღესასწაულა, ავად გახდა; ღარიბიც იყო და არც სახლობა ჰყავდა.

ეს რომ გაიგო ლიუსიმ ეზოს მცველის ცოლისაგან, თამამად შევიდა ავადმყოფთან და უვლიდა მას, როგორც საკუთარს ძმას.

იმას ერქვა პიერ ლანდრონი.

პიერის ავადმყოფობა გაძნელდა და კარგა ხანს გასტანა, მაგრამ როგორც კი ცოტა მოჯობინდა, ლიუსიმ კვალად მიჰყო ხელი თავის შრომას და იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე მხატვრის ოთახში.

— თქვენ მხე შემოგყვებათ ხოლმე, როდესაც შემოდიხართ ჩემთან, ეუბნებოდა პიერი მას,—ჩვენ ტყუილად არ დაგარქვით „გაზაფხული“.

ის გაიცინებდა და გამოვარდებოდა ხოლმე ოთახიდან.

ჟამთა ვითარებამ იწყო ჩვეულებრივი სვლა.

პიერმა ხელ-ახლად საქმეს ხელი მოჰკიდა; იმას ამაოდ გავლილი დრო უნდა შეესრულებინა, რადგან ღარიბი იყო და თავის სურათებით სცხოვრებდა. ლიუსი აღარ მიდიოდა მასთან, მაგრამ როგორც ერთს სახლში მდგომნი, დერეფანში ხშირად შეხვდებოდენ, ღიმილით ჩამოართმევდენ ხელსა და ორიოდ სიტყვას ეტყოდენ ერთმანეთს. პიერი თუმცა სიამოვნებით ეწვეოდა ქალსა, მაგრამ ლიუსი არასოდეს არ იწვევდა მას თავისთან.

ასე გაიარა ზამთარმა. პიერს დასჭირდა ლუვრის სურათების გალერეაში სიარული, ის მუყაითად შეჩერდებოდა ხოლმე განთქმული მხატვრების

## წერილი რედაქციისადმი

გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ შენიშვნას იმ მოწინავე წერილის შესახებ, რომელიც იყო დაბეჭდილი «დროების» მე-29 ნომერში, სახელდობ; „ნეტა რას აკეთებს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება.“

ქ. ქუთაისს იქმნა გახსნილი „ზანყოფილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა“ წარსული წლის ივნისის 8-ს. წევრთა კრებამ გახსნისათანავე გარდა მდივნისა, რომელსაც საქმის წარმოება უნდა ეკისრნა, ამოირჩია კომისია 10 წევრთაგან შემდგარი, რომელსაც მიანდევს ამ საზოგადოების საქმეების განწყობა და ხეირიანად მოამართვა. (Комисія по организаціи и устройству отдѣла). მას ჰქონდა ხუთი სხდომა, რაზედაც მოგვცა ანგარიში დაბეჭდილი № 37, 1884 წ. „ქუთაისის საგუბერნიო მმართებლობის განკარგულებათა კრებულში“ (Сборникъ правительственныхъ распоряженій по кут. губерніи). ამას გარდა იანვრის 13-ს ამა მდგომარე წლისა იყო წევრთა საზოგადო კრება, რომლის მსჯელობის უმთავრესი საგანი იყო საზოგადოებისაგან ფერმის აღების საქმე სამეურნეო აზრით.

მართალია, ამ რვა თვეს თვალ-საჩინო ბევრი არაფერი გაუკეთებია საზოგადოებას, მაგრამ არც ისე განსვენებული ყოფილა, როგორც გვარწმუნებს „ნეტ. რას აკეთ. ქუთ. სამეურ. საზოგადოების“, ავტორი. ან რომელ საზოგადოებას გვაჩვენებს ჩვენში, რომ ასე მოკლე დროს დიდი საქმე გაეკეთებინოს. კომისიის ანგარიშიდან სჩანს, რომ მან გააწყო კანცელიარია, შეადგინა შესავალ-გასავლის ანგარიში, რომელშიაც შეტანილ იქმნა მდივნის ანუ სეკრეტარის ჯამაგირიც, რასაკვირველია, (რა ვქნათ, ფორმალურ მხარეს ვერ ავცილდებით ვერც ერთ საქმეში), დაიწყო ბიბლიოთეკის და მუზეის შედგენა; უცდია წევრთაგან ფულის შეკრება და მოწვევა როგორც ადმინისტრაციის ჩინოვნიკთა აგრეთვე გამოჩენილ მემამულეთა, რათა მათ ერთის მხრით გაევრცელებინათ საზოგადოების საგანი და მნიშვნელობა ჩვენს მხარეში, მეორეს მხრით დაჰხმარებოდენ თვით საზოგადოებას მუზეის შევსებაში და მიეღოთ თავზე ასრულება საზოგადოების სხვა-და-სხვა მონდობილებათა.

ამას გარდა კომისიამ აირჩია საზოგადო კრების ნება-რთვით კომისიონერი თვით ქუთაისს, რომელსაც ვალად დასდო იქონიოს ყველა ის საჭირო საოჯახო თესლეულება, რასაც-კი მოითხოვს საზოგადოება, და უფრო იაფადაც, ვიდრე შესაძლოა მათი შოვნა სხვა რომელიმე კომისიონერისაგან კავკასიაში. როგორც ზემოდ ვსთქვი, იანვრის 13-ს კრებას ჰქონდა იმაზედ ბაასი, რომ ქუთაისის ფერმა მიიღოს და გამართოს იქ სხვა-და-სხვა გვარი სამაგალითო ოჯახობა (хозяйства). თვით მდივანი მიიქცა ყირიმის ღვინის ხელობის საუკეთესო მცოდნესთან და შეუკვეთა იმერული ღვინის გამოკვლევა, რაზედაც მან სრული თანხმობა მიიღო და ამ მოკლე დროში კიდევაც შესრულდება ეს საქმე. ამით, რასაკვირველია, ჩვენებურ ღვინოებს გაიცნობენ და გაუხსნიან სავაჭრო გზას. კომისიის მონდობილებით აგრეთვე გადათარგმნილ იქმნა წიგნი: „შინაურ ფრინველების ავადმყოფობა და მათი წამლობა“, რომელიც მალე დაიბეჭდება. ეხლა-ხანს საზოგადოების თავს-მჯდომარემ დაიბარა თბილისიდამ 100 მისხალი აბრეშუმის თესლი მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

მე ვათავებ ამით და არ მომყავს ათასი სხვა შინაური წვრიმალი შრომა, რომელსაც სწევს საზოგადოება. მე მგონია: ესეც საკმაო იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოება არ მისცემია განსვენებას და არც აპირობს, თუკი შეაძლებინებენ. ამას დავუმატებ მხოლოდ ორს სიტყვას კიდევ: საზოგადოდ, არ ვარგა იმისთანა სუსტის და სასარგებლო ახალ დაწესებულების დაყვავება (?), როგორიც არის ჩვენი ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება. კარგი რჩევის მიცემა და ხელის მომართვა რომელიმე ახალ-დაწყებული საქმისა ბევრად უფრო საძნელოა, ვიდრე კილის გამოძებნა და ხელის შეშლა მისი. ვიქონიოთ სახეში, რომ ამ ნაირი მცირე საშუალებისა და სუსტი ძალ-ღონის პატრონი საზოგადოებისაგან ბევრს რასმე არ უნდა გამოელოდეს ამ თავითვე კაცი და „მცირეზედაც სარწმუნო უნდა იყოს“ იმ იმედით რომ სამერმისოდ საშუალება იმატებს, ახალი, ქორფა ძალები მოჰკიდებენ მას ხელს და დამზადებულ ნიადაგზედ მეტს და უფრო თვალ-საჩინო საქმეს შესძლებენ.

საზოგადოების მდივანი

გ. ბაქრაძე (*)

(*) იხილე საკვირაო ფელეტონი, მომავალ კვირას

რედ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ტელეფონი და მიკროფონი. შესანიშნავმა გამოგონებამ ტელეფონმა თვისი ადგილი მიკროფონს უნდა დაუთმოს; იმავ დანიშნულებას, რომელსაც ტელეფონი ასრულებდა, ეხლა მიკროფონი უმეტესის წარმატებით ასრულებს. ტელეფონს ჰქონდა ერთი ნაკლულევანება, რომელსაც ვერ ჰაცდინეს იგი, თუმცა ბევრს ეცადნენ:— ვერ გაანთავისუფლეს ტელეფონის მავთული იმ ხმებიდამ, რომელსაც იგი სხვა ტელეგრაფის მავთულებისაგან იზიდავდა, და როდესაც, როგორც იყო, მოსძებნეს საღსარი ამ დაბრკოლებათა ასაცილებლად ტელეფონისაგან, სწორედ ამ დროს მეცნიერებამ აღმოაჩინა მიკროფონი. მიკროფონის საშუალებით გადასცემენ ხმას იმავ სიშორეზედ, როგორზედაც ტელეფონით და უპირატესობა პირველისა მეორეზედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ხმა უფრო მაღლად გადადის პირველით, მიკროფონით; ესე იგი: ჩუმის ხმით ნათქვამი სიტყვა მაღლად გადადის დანიშნულებისა-მებრ.

—

გაზეთი — ცხვირ-სახოცი. ნიუ-იორკში (სხვაგან სად — თუ არ ამერიკაში აღმოჩნდება ყველა საკვირველი და ახირებული?) იბეჭდება გაზეთი ტილოს ქაღალდზე, სივრცით ჩვეულებრივის ცხვირ-სახოცისა, რომლადაც იქცევა გადაკითხვის შემდეგ. ეს ახირებული გაზეთი ისეთის ლაქით იბეჭდება, რომელიც არ ითხვრება და არც რამ სუნი სდის და ამ რიგად პრაქტიკულადაც გამოსადეგია — ჯერ გონებასა ჰრგებს და შემდეგ ისეთივე მოსახმარისი ხდება, როგორც ცხვირ-სახოცი. გაზეთი ყოველ დღიურია და ხელის მომწერს 365 № ამ გაზეთისა 25%-უფრო იაფად უჯდება, ვინემ ამდენივე რიცხვი ჩვეულებრივის ტილოს ცხვირ-სახოცისა. რაღა კითხვა უნდა, დიდი გასავალი აქვს ამ გაზეთს.

—

საბრალო რედაქტორი ერთის ინგლისურის გაზეთისა ამ რიგად აღწერს თავის მდგომარეობას: „თუ გავავრცელე პოლიტიკური ნაწილი გა-

---

ხელოვნების წინაშე და უკვირდებოდა მათ, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმენდა ხოლმე და მივიდოდა მიმზიდველს კიბესთან, რომელზედაც იდგა ნარნარა „გაზაფხული“. ლიუსი ზეიდანვე გაუღიმებდა და მარდად ჩამოირბენდა ძირსა; პიერიც აძლევდა რჩევას, ხშირად სამხატვრო კალამსაც ართმევდა ხელიდამ და უსწორებდა მხატვრობას.

ერთხელ პიერი მიდიოდა გრძელ ლუვრის გალერეიაში და შენიშნა, რომ „გაზაფხულის“ კიბე არ იყო მიმდგარი.

— უთუოდ რამდენიმე დღე უნდა დაისვენოს იფიქრა იმან და ისეთის ყურადღებით აღარ შეაჩერა თვალები სურათებს.

პიერმა წიგნების მიღება მოიმიზეზა და როდესაც ეზოს მცველის ცოლთან შევიდა, ჰკითხა: დღეს ლიუსი ლუვრში ხომ არ ყოფილა?

— არა, საბრალო... უპასუხა ეზოს მცველის ცოლმა, ხუთშაბათს წვიმაში დასველებულიყო და ახველებს... ვშიშობ ცუდი არა გამოვიდეს-რა. იმის სახის ფერი კარგს არას მოასწავებს, მე დიდი ხანია შევამჩნიე ესა და როდესაც ვუცქერი, ყოველთვის ვფიქრობ: აი, გაზაფხული, რომელსაც ზაფხული არ ეღირსება მეთქი.

მოხუცებულმა ნაღვლიანად გაიქნია თავი.

პასუხის მიუცემლად, პიერმა საჩქაროდ აირბინა კიბე და სწრაფად შეჩერდა. ისევ ყურში უდგა მოხუცის სიტყვები; «აი, გაზაფხული, რომელსაც ზაფხული არ ეღირსება.»

გული ძალზედ უცემდა. ნუ თუ იმის მეზობელი ქალი მალე უნდა მოკვდეს? იმან მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ ის საბრალო ბავშვი უყვარდა. არ შეიძლება, ის არ უნდა მოკვდეს! თითონ მოუვლის ისე, როგორც ის უვლიდა შემოდგომაზედ; მოუვლის ისე, როგორც თავის საცოლოს.

თავ-ბრუ ესხმოდა... ცოლი... ამ სიტყვამ დაუთბო მას გული; ესენი არ იქნებიან მდიდარნი, ორნივე იმუშავებენ, მაგრამ რა ძლიერი იქნება მათი კავშირი!

იმ წამში მოესმა ვილასიც მშრალი ხველა. ის გამოერკვა ტკბილ ოცნებიდან და დაინახა, რომ მეზობელი ქალის კარებთანა სდგას.

წყნარად დაუკაკუნა კარები.

ლიუსი იწვა ტახტზედ, ბალიშზე თავ-მიდებული, გაწითლებულის ლოყებით. პიერი შეჩერდა კარებში, გაოცებული იმის სახის ცვლილებით.

— შემოდით, ბატონო პიერ; მე ცოტა უქეიფოთა ვარ, მაგრამ ეს არაფერია, რამდენისამე დღის შემდეგ თქვენ ისევ მნახავთ ჩემს კიბეზედ და ხელ-ახლად დამარიგებთ. დარიგება მესაჭიროება-არა?

და მან გაუწვდინა პიერს თავის ნამცეცა ხელი.

პიერი მივიდა და ჩამოართვა უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ სიტყვები ყელში ებჯინებოდა. იმას უნდოდა ლიუსის გულში მიკვრა, თავის სიყვარულის გამოცხადება, ათასნაირი ალერსი, შევედრება, რომ გამხდარიყო იმის ცოლი, მაგრამ ვერაფ ჰბედავდა. ხმა-ამოუღებლივ მიუჯდა გვერდით და იმის ხელი არ გაუშვა თავის ხელიდან.

— მე ისე ვწუხვარ... ისე მენანება... თითქმის გაუგებლად იმეორებდა იმის ტუჩები.

ლიუსის არ ესმოდა ეს სიტყვები. ოპერის მუსიკა ულიბრეტოდაც სასიამოვნოა. ამ გვარ საკრავს ემგზავსებოდა იმათი საუბარი. ერთის შეხედვით მიუხვდენ ერთმანეთსა. ლიუსის ავადმყოფობამ შეაერთა იგინი, მოსპო მათ შორის განმაშორებელი მანძილი. ლიუსი მიენდო მას, ბედნიერი და კმაყოფილი; ამისი ულონობა განა არ იყო იმისივე მფარველი? პიერის პატივის-ცემაზედ ის დარწმუნებული იყო; თავის სიყვარული ადვილად შესაძლებელ საქმედ მიაჩნდა, თითქოს ეს ადრევე უნდა მომხდარიყო.

პიერი იჯდა შეწუხებულის გულით და ლიუსის ხველას უგდებდა ყურსა; ეშინოდა არ დაელალა ავადმყოფი. მაგრამ ის მხნედ იყო, ისე დარწმუნებული თავის მორჩენაზედ, რომ პიერმაც თავის შიში ამაოდ ჩასთვალა.

(გაგრძელება შემდეგ)

ზეთისა—ყბად აგვიღებენ მკითხველები, მოსაწყენი და ერთ-მხრივია გაზეთიო, და თუ შევამცირე ქსევე ნაწილი—ხელ-შიაც არავინ აიღებს ჩემს გაზეთს. თუ მსხვილი შრიფტი (ასოები) შემოვი-ღე გაზეთში და ყოველს წერილს ამ გვარის შრიფტით დავუბეჭდე სათაუ-რი—ამისთვისაც ამიყაყანდებიან, მსხვი-ლი ასოები შემოიღეს და ამით გაზე-თის შინაარსმა მოიკლოვო; და თუ შრიფტი გავაწვრილე—ეს ხომ სულ არ მოეწონებათ — ვერ წაგვიკითხავს გაზეთი, თვალებს გვიფუჭებსო—ერთის სიტყვით ვერაფრით მოიგებ მკითხვე-ლის გულს. თუ დაბეჭდე ბლომად ტე-ლეგრამებს—ყვირიან — ბევრი ყალბი ცნობებიაო; თუ არ დაბეჭდე და — იტყვიან—გაზეთი ნამდვილ ცნობათ ხელს აფარებსო. ერთის სიტყვით ბრალ-დებას ვერ ასცილდები...

—

ვექილობით ჯვარის წერა. ძველ დროს, როდესაც მისვლა-მოსვლა სხვა-და-სხვა ქვეყანათა შორის ერთობ ძნე-ლი საქმე იყო, ხშირად ხდებოდა ხოლმე ახირებული ჯვარის წერა, გან-საკუთრებით სამეფო გვარეულობათა შორის. ნამდვილის მეუღლის ნაცვ-ლად ერთს ან მეორე მხარეს ვექილი ამოუდგებოდა გვერდს და ჯვარს იწერ-და. მაგრამ ეს იყო ძველად და ჩვენ დროში ამ გვარი შემთხვევა ყველას საკვირველად ეჩვენება. ავსტრიის ქალაქს იოკაგამში ცოლად ალურჩევია ავსტრიის ქალაქს ფრეიდენტალში ერთი ყმაწვილი ქალი. ქალი მალე დაბრუ-ნებულა თავის სამსახურის ადგილზე და დანიშნული ავსტრიაში დარ-ჩენილა. იოკაგამში არ არის კათო-ლიკეთა ეკლესია და ამიტომ გადასწყდა, რომ ჯვარის-წერა ქ. ფრეიდენტალ-ში მომხდარიყო და ნამდვილი საქმროს ადგილი კი, რომელიც რამდენიმე თვის მანძილზე იყო საცოლოსაგან, დაიჭირა საცოლოს ლვიძლმა ძმამ.

—

სოლომონ ბრძენის ქება-ქებათა. პარიჟში სენ-სიმონის კლუბში, აუა-რებელის მაყურებლების დასწრებით ცნობილმა საფრანგეთის პოეტმა შან-შკარმა წაიკითხა თავისი ახალი თხზუ-ლება—თავისუფლად გადაკეთებული ლექსად სოლომონ ბრძენის ქება-ქებათა. მსმენელთ დიდის აღტაცებით მიიღეს პოეტის თხზულება; ერნესტ რენანმა წარმოსთქვა სიტყვა და დასასრულ მი-მართა პოეტს შემდეგის შესხმით: „თქვენის მშვენიერის ლექსთა წყობის წყალობით ქება-ქებათა ჭეშმარიტ საუ-კუნო სიყვარულის ქებად შეიქმნე-ბა“.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

თებერვლის 15-ს

ხარკოვი. ტაგანროგის ტამოჟ-ნის საქმის შესახებ დღევანდელს სხდომაზედ სტარინკევიჩს გამოჰ-კითხეს. აღვანოვმა გულ-წრფე-ლად და დაწვრილებით უამბო სასა-მართლოს დასაწყისი ბოროტ მოქ-მედებისა და დამნაშავენიც დაასა-ხელა.

გუშინდელი ტელეგრამის გას-წორება პარიჟში პალატამ ხორ-ბალს ბაჟი სამი ფრანკი დაადო; იმ ხორბალს კი, რომელიც ევ-როპის გარეშე მოსულია და შე-მოტანილი ევროპის ქალაქები-დამ დაედო ბაჟი ექვსი ფრანკი და 60 სანტ.

კაირი. ბრეკენბიურის რაზმი ნილოსის აყოლებამდის და თე-ბერვლის 21-ს ორმოც მილზე იყო აბუჰამედიდამ.

პეტერბურგი. თებერვლის 15. გუშინ დიდის ამბით შესდგა კრება სლავიანთა საქველ-მოქმედო სა-ზოგადოებისა; სხდომაზე გამოაც-ხადეს, რომ დასავლეთში წმინდა მეთოდის ათასის წლის დღესასწა-ულის პოლიტიკური ხასიათი მიე-ცაო, მაგრამ რუსეთში სლავიან-თა საზოგადოებამ გადასწყვიტა ამ დღესასწაულს მტკიცე სარწმუნოე-ბრივი ხასიათი მისცესო.

ჟურნალ „დე-ს.-პეტერბურგი“ ლაპარაკობს ავგანის ემირის ინ-დოეთისკენ წასვლაზედ და ამ-ბობს, რომ ეს უფრო დაუმორჩი-ლებს ემირს ინგლისის პოლიტი-კას და მაშასადამე გაადიდებს ინ-გლისის პასუხის გებას ავგანისტა-ნის შესახებ; მაგრამ ამავე მიზე-ზით შეიძლება იმედი ვიქონიოთო, რომ თანხმობა ჩამოვარდება რუ-სეთისა და ინგლისს შორის იმ სამზღვრის შესახებ, რომელიც რუსეთსა და ავგანისტანს ჰყოფს.

ბერლინი. გუშინ დაიხურა კონ-გოს კონფერენცია ბისმარკის სიტ-ყვის შემდეგ. ბისმარკი აცხადებს კმაყოფილებას, რომ პროგრამა კონფერენციისა კარგად შესრულ-და და მადლობას უცხადებს დეს-პანებს მორიგებისათვის. ლონემ მადლობა გადაუხადა ბისმარკს დესპანების მხრივ. ბელგიის მე-ფემ გამოუგზავნა ბისმარკს მად-ლობის წერილი ცივილიზაციის დახმარებისათვის აფრიკაში.

კაირი. გენერალი გრაჰამი, კო-მანდირი იმ ინგლისის რაზმისა, რომელმაც უნდა იმოქმედოს სუ-დანში სუაკიმის მხრივ, სუაკიმში მოვიდა.

ვენა. ავსტრო-ვენგრიის ტამოჟ-ნის კომისიამ გადასწყვიტა იმოდე-ნიმე ბაჟი დაედოს ხორბალს, ფქვილსა და ფქვილს, რამოდენა-საც გერმანია ადებს.

პარიჟი. ტონკინის გვერდით მდებარე ჩინეთის პროვინცია იუ-ნანში ამოხოცეს რამდენიმე ასი კათოლიკე ჩინეთის მთავრობის სა-იდუმლო განკარგულებით.

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამ-დე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუ-სეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქაჯური ფქვილისა: პირ-ველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ძროხის-მამი ხორცი: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდის
6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

### მუზეუმი ვინტერისა

გოლოვინის პროსპექტზე, ფოსტის შენობის მახლობლად.

ზალებულია სანახავად საზოგადო-ებისაგან დილის 10 საათიდამ საღა-მოს ათ საათამდის.

უმორჩილესად ვაუწყებ ტფილი-სის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩემი მუზეუმი მხოლოდ ორ-შაბათამდის, თებერვლის 18-ს რჩე-ბა თბილისში.

შესვლის ფასი ყველა განყოფილე-ბაში და ანატომიურს კაბინეთში შემ-ცირებულია აბაზამდის; ბავშვები და მხედრობის დაბალი ჩინები იხდიან ორს შაურს. ანატომიური განყოფი-ლება გახსნილია მხოლოდ დიდებისა-თვის.

იმედი მაქვს, პატივცემული საზო-გადოება არ მომაკლებს თვის ყურა-დღებას.

(2—2). ვინტერი.

### ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივ-თები იყიდება 25°/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტა-ლის ნივთები, ჩაიდნები, საყარაქე, სა-მარილე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმე-ლი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის ხი-კი, საწყაო, სვები, რიუმკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასადილოები, ტაშ-ტები, სარკეები, სამარილეები, გარჩი-ცის სადგამები, პრობკის ამოსაღებები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრან-ტები, ალვირები, ხლისტები, ტანისა-მოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატ-ლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თო-ფები და რევოლვერები, პიკები, ზა-რიადები, კაპსიულები, ხათვანგები, ნიჩ-ბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქე-ბი, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურა-ბები, კამფეტები, ბიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკოხები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწ-რუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბი-ლისში. (100—2)

გამოვიდა და ისყიდება

### ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო გასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლიშვ-თან; თელავში: ბატ. ვ. როსტომა-შვილთან.